

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები.....	18
6. შემოსავალი.....	20
7. გაყიდვების თვითღირებულება	22
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
9. ზარალი გაუფასურებიდან	23
10. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	23
11. ძირითადი საშუალებები	24
12. იჯარები	25
13. მარაგები.....	26
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	28
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	29
17. მიღებული ავანსები.....	29
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
19. პირობითი ვალდებულებები	30
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დელტა კომმის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს დელტა კომმისგან და მისი შვილობილი კომპანიისგან რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი 2021 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს დელტა კომმის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს დელტა კომმისგან და მისი შვილობილი კომპანიისგან რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი 2021 წელი

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები	6	11,319,571	16,761,878
სხვა შემოსავალი		504,299	316,164
გაყიდვების თვითღირებულება	7	(11,329,014)	(15,822,583)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,098,317)	(3,419,556)
კომერციული ხარჯები		(56,536)	(60,259)
გაუფასურების ხარჯი	9	(1,252,033)	(812,059)
საოპერაციო ზარალი		(2,912,030)	(3,036,415)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	10	754,240	(1,532,023)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა		1,218,094	718,246
წმინდა ზარალი		(939,696)	(3,850,192)
სხვა სრული ზარალი:			
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში		(4,218)	(7,682)
გადაანგარიშების ეფექტი			
მთლიანი სრული ზარალი		(943,914)	(3,857,874)
წმინდა ზარალი მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		(936,017)	(3,825,284)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(3,679)	(32,590)
		(939,696)	(3,857,874)
მთლიანი სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		(939,181)	(3,825,284)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(4,733)	(32,590)
		(943,914)	(3,857,874)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 30 მარტს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზ. ზარიძე

ფინანსური დირექტორი _____ გ. გაგნიძე

10 – 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელტა კომმი და მისი შვილობილი კომპანია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები	6	11,319,571	16,761,878
სხვა შემოსავალი		504,299	316,164
გაყიდვების თვითღირებულება	7	(11,329,014)	(15,822,583)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,098,317)	(3,419,556)
კომერციული ხარჯები		(56,536)	(60,259)
გაუფასურების ხარჯი	9	(1,252,033)	(812,059)
საოპერაციო ზარალი		(2,912,030)	(3,036,415)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	10	754,240	(1,532,023)
საკუთსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა		1,218,094	718,246
წმინდა ზარალი		(939,696)	(3,850,192)
სხვა სრული ზარალი:			
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში		(4,218)	(7,682)
გადაანგარიშების ეფექტი			
მთლიანი სრული ზარალი		(943,914)	(3,857,874)
წმინდა ზარალი მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		(936,017)	(3,825,284)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(3,679)	(32,590)
		(939,696)	(3,857,874)
მთლიანი სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		(939,181)	(3,825,284)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(4,733)	(32,590)
		(943,914)	(3,857,874)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 30 მარტს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



ზ. ზარიძე

გ. გაგნიძე

10 - 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019*	01.01.2019*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	23,072,469	25,460,393	28,253,358
არამატერიალური აქტივები		-	-	228,290
აქტივის გამოყენების უფლება	12	190,054	237,568	-
სხვა მოთხოვნები	14	-	9,014,023	-
		23,262,523	34,711,984	28,481,648
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	13	474,837	949,497	2,219,337
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	13,919,030	4,056,180	14,127,914
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	78,472	112,536	32,506
		14,472,339	5,118,213	16,379,757
სულ აქტივები		37,734,862	39,830,197	44,861,405
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		12,275,728	12,275,728	12,275,728
გაუნაწილებელი მოგება		17,750,003	18,686,020	22,503,622
უცხოური ვალუტის წარსადგენ		(54,789)	(51,625)	(43,943)
ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი				
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნიებული კაპიტალი		29,970,942	30,910,123	34,735,407
არამაკონტროლებელი წილი		(350,345)	(345,612)	(313,022)
სულ კაპიტალი		29,620,597	30,564,511	34,422,385
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	16	2,524,768	2,724,045	2,923,321
მიღებული ავანსები	17	1,271,153	1,553,632	1,836,111
საიჯარო ვალდებულებები	12	167,606	211,484	-
		3,963,527	4,489,161	4,759,432
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,698,421	3,638,528	4,666,122
მიღებული ავანსები	17	380,643	1,071,225	1,013,466
საიჯარო ვალდებულებები	12	71,674	66,772	-
		4,150,738	4,776,525	5,679,588
სულ ვალდებულებები		8,114,265	9,265,686	10,439,020
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,734,862	39,830,197	44,861,405

(*) – 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

10 – 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული			მესაკუთრეთა კაპიტალი, სულ	არამაკონტრო- ლებელი წილი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ- ელი მოგება	უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი			
01.01.2019	12,275,728	22,503,622	(43,943)	34,735,407	(313,022)	34,422,385
წლის ზარალი	-	(3,817,602)	-	(3,817,602)	(32,590)	(3,850,192)
მთლიანი სრული ზარალი	-	-	(7,682)	(7,682)	-	(7,682)
31.12.2019	12,275,728	18,686,020	(51,625)	30,910,123	(345,612)	30,564,511
წლის ზარალი	-	(936,017)	-	(936,017)	(3,679)	(939,696)
მთლიანი სრული ზარალი	-	-	(3,164)	(3,164)	(1,054)	(4,218)
31.12.2020	12,275,728	17,750,003	(54,789)	29,970,942	(350,345)	29,620,597

10 – 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		(939,696)	(3,850,192)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		2,859,031	3,629,260
(მოგება)/ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან, წმინდა		(255,407)	31,026
მარაგების გაუფასურება	9	199,661	738,076
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	9	1,052,372	(26,856)
არამატერიალური აქტივების გაუფასურება/(აღდგენა)	9	-	100,839
მოგება საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა		(1,218,094)	(718,246)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	10	(754,240)	1,532,023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		943,627	1,435,930
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
მარაგების შემცირება		275,000	524,083
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(422,496)	336,006
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(272,313)	(1,259,694)
მიღებული ავანსების შემცირება		(314,990)	(224,720)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		208,828	811,605
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალების შეძენა		(517,822)	(814,052)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		349,636	121,696
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(168,186)	(692,356)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	12	(38,976)	(20,693)
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა	12	(27,736)	(18,223)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(66,712)	(38,916)
წმინდა ზრდა / (შემცირება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(26,070)	80,333
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	112,536	32,506
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(4,218)	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(3,776)	(303)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	78,472	112,536

10 – 41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დელტა კომში (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი - 204991795, დაფუძნდა 2002 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, გაფრინდაულის ქ., №2.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია (შემდგომში ჯგუფი) დაფუძნებულები არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

შპს დელტა კომშის შვილობილ საწარმოს წარმოადგენს 4 K Communication LLC (შემდეგში შვილობილი საწარმო), რომელიც არის ინტერნეტ-პროვაიდერი. მისი დაფუძნების ქვეყანა არის სომხეთი. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დელტა კომში აღნიშნულ საწარმოში ფლობს 75%-იან წილს. 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4 K Communication LLC არ ახორციელებდა საოპერაციო საქმიანობას.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს შპს მაგთიკომი, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი - გიორგი ჯოხთაბერიძე.

ჯგუფის უმაღლესი მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც წარმოდგენილია სამი წევრით: გიორგი ჯოხთაბერიძე, ანდრია ზოდელავა და ნათია კახიძე.

შპს დელტა კომშის გენერალური დირექტორია ზურაბ ზარიძე.

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არის:

- ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის/ქსელის მშენებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით
- ინტერნეტ და საკომუნიკაციო სერვისები
- კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ჯგუფი სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორობის კრებებზე;

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ საწარმოზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფმა გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიახლეებიდან არის ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებები და ისინი ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებზე. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცემის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

ჯგუფი არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ბ) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

გ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას, იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ჯგუფი გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება ჯგუფისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთ წელში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-14 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დ) სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი, სხვა ბიზნესების მსგავსად, დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომელთა საშუალებით მართავს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური დეპარტამენტისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს შეამციროს რისკები მისაღებ დონემდე და ამასთანავე მისი გამოყენებით მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

31.12.2020

78,472

13,878,650

13,957,122

31.12.2019

112,536

13,034,848

13,147,384

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები

3,504,968

239,280

3,744,248

3,425,528

278,256

3,703,784

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებითი შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, საბითუმო მომხმარებელია თუ საცალო, მომხმარებლის გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე, ასევე წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე ხორციელდება რეალიზაცია ყოველი ახალი მომხმარებლის შემთხვევაში.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	78,472	112,536
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,878,650	13,034,848
	13,957,122	13,147,384

ინფორმაცია ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ განმარტებულია მე-14 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ჯგუფს მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

4.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი	31.12.2020
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	66,422	196	1,089	10,765	78,472
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,676,848	11,187,487	14,315	-	13,878,650
	2,743,270	11,187,683	15,404	10,765	13,957,122
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,561,239	1,541,555	214,283	187,891	3,504,968
საიჯარო ვალდებულებები	239,280	-	-	-	239,280
	1,800,519	1,541,555	214,283	187,891	3,744,248
ღია სავალუტო პოზიცია	942,751	9,646,128	(198,879)	(177,126)	10,212,874

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი	31.12.2019
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,483	81,027	5,185	17,841	112,536
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,965,070	9,065,307	4,471	-	13,034,848
	3,973,553	9,146,334	9,656	17,841	13,147,384
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,967,125	1,118,660	165,241	174,502	3,425,528
საიჯარო ვალდებულებები	278,256	-	-	-	278,256
	2,245,381	1,118,660	165,241	174,502	3,703,784
ღია სავალუტო პოზიცია	1,728,172	8,027,674	(155,585)	(156,661)	9,443,600

სავალუტო რისკის მგრძნობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2020	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		სომხური დრამის გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%	ლარი/სომხური დრამი + 20%	ლარი/სომხური დრამი - 20%
მოგება/(ზარალი)	1,929,226	(1,929,226)	(39,776)	39,776	(35,425)	35,425

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

31.12.2019	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		სომხური დრამის გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%	ლარი/ სომხური დრამი + 20%	ლარი/ სომხური დრამი - 20%
მოგება/(ზარალი)	1,605,535	(1,605,535)	(31,117)	31,117	(31,332)	31,332

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,504,968	-	-	3,504,968
საიჯარო ვალდებულებები	66,712	200,136	-	266,847
	3,571,680	200,136	-	3,771,815

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,425,528	-	-	3,425,528
საიჯარო ვალდებულებები	66,712	266,847	-	333,559
	3,492,240	266,847	-	3,759,087

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი ჯგუფის თითოეული კომპონენტისთვის, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

ჯგუფი ახდენს კაპიტალის მონიტორინგს კოეფიციენტით - ადებული ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან. ადებული ვალდებულებები გამოითვლება მიღებული საიჯარო ვალდებულებების ფულისა და ფულის ეკვივალენტებით შემცირებით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	31.12.2020	31.12.2019
საიჯარო ვალდებულებები	239,280	278,256
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები	(78,472)	(112,536)
წმინდა ვალდებულება	160,808	165,720
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნიებული კაპიტალი	29,970,942	30,910,123
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (%)	1%	1%

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და სრულ შემოსავალს. კონკრეტულად, ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

- სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, წარდგენის მიზნებისთვის, მოახდინა "ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" და "შემოსავლები ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბლულების იჯარიდან" რეკლასიფიკაცია "ამონაგების" მუხლში
- სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, წარდგენის მიზნებისთვის, მოახდინა "რეალიზებული საქონლის თვითღირებულებისა" და "გაწეული მომსახურების თვითღირებულების" რეკლასიფიკაცია მუხლში „გაყიდვების თვითღირებულება“
- სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, წარდგენის მიზნებისთვის, მოახდინა "სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), წმინდა" და "სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), წმინდა" რეკლასიფიკაცია მუხლში "სხვა შემოსავალი"
- სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში წარდგენილი ხელფასებიდან მოახდინა სამშენებლო პროექტების ნაწილში დასაქმებულ თანამშრომელთა მოცდენის წილი ხელფასის რეკლასიფიკაცია მუხლში „გაყიდვების თვითღირებულება“, როგორც სამშენებლო მომსახურების თვითღირებულების ნაწილი
- სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში წარდგენილი რემონტის ხარჯებიდან მოახდინა მაგისტრალის მიმდინარე რემონტის ხარჯების რეკლასიფიკაცია მუხლში „გაყიდვების თვითღირებულება“, როგორც სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯი
- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საიჯარო მომსახურებისთვის მიღებული ავანსებიდან მოახდინა მიმდინარე და გრძელვადიანი ნაწილის გამოყოფა, წარდგენის მიზნებისთვის.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციის ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშ ებული
ამონაგები	-	16,761,878	16,761,878
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16,522,489	(16,522,489)	-
შემოსავლები ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარიდან	239,389	(239,389)	-
გაყიდვის თვითღირებულება	-	(15,822,583)	(15,822,583)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,568,442)	1,568,442	-
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(12,374,948)	12,374,948	-
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	-	316,164	316,164
სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	283,511	(283,511)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	32,653	(32,653)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,298,749)	1,879,193	(3,419,556)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციის ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშ ებული
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	-	1,553,632	1,553,632
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	2,624,857	(1,553,632)	1,071,225

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციის ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშ ებული
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	-	1,836,111	1,836,111
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	2,849,577	(1,836,111)	1,013,466

6. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან	3,792,402	2,019,725
გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	3,653,789	3,305,097
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან*	3,454,460	9,557,510
შემოსავალი IT საქონლის რეალიზაციიდან	179,531	1,640,157
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11,080,182	16,522,489
საიჯარო შემოსავალი		
შემოსავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარიდან	239,389	239,389
	11,319,571	16,761,878

(*) - 2017 წლის იანვარში შპს დელტა კომში და მის ერთადერთ მფლობელს შპს მაგთიკომს შორის გაფორმდა სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება. პროექტი ითვალისწინებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში. სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს ასევე ინსტალაციისა და აბონენტების ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად:

- სამშენებლო მომსახურება მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში. შემოსავლები აღიარებულია დანახარჯებზე დაფუძნებული გამოყენებული რესურსების მეთოდით.
- გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურები, რომელიც მოიცავს „შეუზღუდავი გამოყენების უფლების“ ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული წვერების პროფილაქტიკურ-ტექნიკურ და საავარიო აღდგენითი მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან მოიცავს საბოლოო მომხმარებელთან ინტერნეტ მომსახურებებს და შეერთების პორტებთან დაშვების მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაცია, რომელიც მოიცავს მონაცემთა შენახვის სერვერების, სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და სხვა კომპიუტერული აღჭურვილობების, ასევე, პროგრამებისა და ლიცენზიების რეალიზაციას. შემოსავლები აღიარებულია დროის გარკვეულ მომენტში

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, ჯგუფის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე, გარდა კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციისა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელს კონტროლი გადაეცემა ჯგუფის საწყობიდან კომპიუტერული ტექნიკის გატანის მომენტში. მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს.

შემოსავლების დაყოფა საქონლის და მომსახურების გადაცემის პერიოდის მიხედვით:

	2020	2019
დროთა განმავლობაში, გამოყენებული რესურსების მეთოდი,	10,900,651	14,882,332
დანახარჯებზე დაფუძნებული გამოყენებული რესურსების მეთოდით.	3,454,460	9,557,510
წრფივი მეთოდით	7,446,191	5,324,822
დროის გარკვეულ მომენტში	179,531	1,640,157
	11,080,182	16,522,489

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. ამონაგები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივებისა და ვალდებულებების შეჯერება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სახელშეკრუ ლებო აქტივი 2020	სახელშეკრუ ლებო აქტივი 2019	სახელშეკრუ ეზო ვალდებულება 2020	სახელშეკრუ ეზო ვალდებულება 2019
1 იანვარი	921,883	878,337	658,071	658,071
სახელშეკრულებო აქტივიდან მოთხოვნებში გადასვლა	(921,883)	(878,337)	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულების ურთიერთგადახურვა	-	-	(658,071)	-
მოთხოვნასთან აღიარებული შემოსავლის გადაჭარბება მისაღებ	-	921,883	-	-
ანაზღაურებასთან მიმართებაში				
31 დეკემბერი	-	921,883	-	658,071

სახელშეკრულებო აქტივები ძირითადად უკავშირდება ჯგუფის უფლებას მიიღოს შესრულებული, მაგრამ არა დარიცხული სამუშაოს ანაზღაურება გაწეული საანგარიშგებო თარიღისთვის სამშენებლო მომსახურებისთვის და წარდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს შეუზღუდავი გამოყენების უფლების (IRU) შეთანხმებების ფარგლებში მიღებულ ავანსებს, რომელიც უკავშირდება მომხმარებლებისგან წინსწრებით მიღებულ თანხებს ჯგუფის ინფრასტრუქტურის კონკრეტულ გაუნათებელ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე წვდომის უზრუნველყოფისათვის. კონკრეტული გრძელვადიანი IRU ხელშეკრულებებისთვის, ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის ვალდებულება და დაკავშირებული ანაზღაურების რისკი რჩება ჯგუფთან ხელშეკრულების არსებობის მანძილზე, სახელშეკრულებო ვალდებულებები წარდგენილია მიღებული ავანსებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

ძირითადად მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის ერთ წლამდე ვადით, შედეგად ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის 121 (ა)(ბ) პუნქტებში მოცემულ შეღავათს და არ განმარტავს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

- შესასრულებელი ვალდებულება ისეთი ხელშეკრულების ნაწილია, რომლის თავდაპირველი მოსალოდნელი ვადა არ აღემატება ერთ წელს; ან
- საწარმო შესასრულებელი ვალდებულების დაფარვის შედეგად ამონაგებს აღიარებს ბ16 პუნქტის შესაბამისად.

შემოსავლების ოდენობა, რომელიც აღიარებული იქნება მომავალში „გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურების“ კონტრაქტების მიხედვით, როდესაც დაკმაყოფილდება დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020*	2121	2022-2025	2026-2030	31.12.2020
შპს მაგთიკომი	2,233,943	2,332,495	6,957,937	-	9,290,432
შპს ჯეოსელი	613,025	640,069	2,560,276	2,562,029	5,762,374
შპს რკინიგზის ტელეკომი	806,821	842,414	3,369,655	420,053	4,632,122
	3,653,789	3,814,978	12,887,868	2,982,082	19,684,928
	2019*	2020	2021-2024	2025-2030	31.12.2019
შპს მაგთიკომი	2,020,752	2,041,414	8,126,106	-	10,167,520
შპს ჯეოსელი	554,522	560,192	2,240,769	2,802,496	5,603,457
შპს რკინიგზის ტელეკომი	729,823	737,286	2,949,143	1,104,918	4,791,347
	3,305,097	3,338,892	13,316,018	3,907,414	20,562,324

(*) - მოიცავს ფაქტიურ შემოსავლებს.

7. გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
გაწეული სატელეკომუნიკაციო მომსახურების თვითღირებულება	(8,337,978)	(7,250,379)
ინტერნეტის შესყიდვის ხარჯი	(3,681,766)	(465,337)
ცვება და ამორტიზაცია	(2,063,247)	(2,227,520)
ხელფასები	(924,622)	(1,868,049)
კაბელის განთავსების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები	(836,722)	(839,937)
რემონტის და შეკეთების ხარჯები	(710,942)	(1,591,047)
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯი	(118,276)	(238,820)
სხვა ხარჯები	(2,403)	(19,669)
გაწეული სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება	(2,853,680)	(7,003,762)
ხელფასები	(1,605,398)	(2,923,223)
საწვავი	(504,618)	(1,144,020)
ცვება	(459,594)	(666,049)
მივლინების ხარჯი	(162,104)	(1,107,053)
შესყიდული მომსახურებების ხარჯი	(53,681)	(938,640)
გამოყენებული მარაგები	(68,285)	(224,777)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(137,356)	(1,568,442)
	(11,329,014)	(15,822,583)

(*) - დამატებითი ინფორმაცია სამშენებლო მომსახურების შესახებ განმარტებულია მე-6 შენიშვნაში.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასები და სხვა სარგებელი	(921,569)	(1,295,782)
ცვება	(309,482)	(735,691)
კომუნალური ხარჯები	(240,949)	(247,431)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(205,372)	(258,698)
ქონების დაზღვევის ხარჯი	(104,247)	(120,977)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(101,130)	(126,662)
რემონტის და შეკეთების ხარჯი	(56,207)	(141,251)
საწვავი	(30,306)	(142,326)
სხვა	(129,055)	(350,738)
	(2,098,317)	(3,419,556)

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების შესახებ განმარტებულია მე-18 შენიშვნაში.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

9. გაუფასურების ხარჯი

გაუფასურების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მარაგების გაუფასურება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	(199,661)	(738,076)
ცვლილება უიმედო და საჭვო მოთხოვნების რეზერვში	(1,052,372)	26,856
არამატერიალური აქტივების გაუფასურება	-	(100,839)
	(1,252,033)	(812,059)

10. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა

ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური აქტივის ამორტიზების ეფექტი	781,976	-
ფინანსური ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული საპოცენტო ხარჯი	(27,736)	(32,090)
ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების ეფექტი	-	(1,499,933)
	754,240	(1,532,023)

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის (ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობები	ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	3,659,743	31,740,524	11,871,852	4,222,339	-	51,494,458
შემოსვლა	121,706	83,158	37,072	63,782	508,334	814,052
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	508,334	-	-	-	(508,334)	-
გასვლა	-	(59,753)	(1,068,720)	(32,638)	-	(1,161,111)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	4,289,783	31,763,929	10,840,204	4,253,483	-	51,147,399
შემოსვლა	46,371	100,386	92,050	23,402	278,544	540,753
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	61,392	-	-	(61,392)	-
გასვლა	-	(70,246)	(2,427,029)	(31,710)	-	(2,528,985)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	4,336,154	31,855,461	8,505,225	4,245,175	217,152	49,159,167
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(968,958)	(10,041,196)	(8,452,136)	(3,778,810)	-	(23,241,100)
ცვეთა	(125,970)	(2,190,358)	(846,806)	(291,161)	-	(3,454,295)
გასვლა	-	42,550	938,185	27,654	-	1,008,389
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,094,928)	(12,189,004)	(8,360,757)	(4,042,317)	-	(25,687,006)
ცვეთა	(163,519)	(2,008,153)	(553,654)	(109,122)	-	(2,834,448)
გასვლა	-	43,745	2,359,422	31,589	-	2,434,756
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,258,447)	(14,153,412)	(6,554,989)	(4,119,850)	-	(26,086,698)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3,194,855	19,574,925	2,479,447	211,166	-	25,460,393
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,077,707	17,702,049	1,950,236	125,325	217,152	23,072,469

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(*) - დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ფარგლებში მოლითი-ზვარესა და ხარაგაული - მარელისის მონაკვეთის მშენებლობაზე გახარჯული მარაგების და აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების კაპიტალიზაციას.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე 1,939 კმ სიგრძის მიწის ქვეშა და 252 კმ სიგრძის მიწის ზედა კაბელს. თბილისში არსებული ქსელიდან დაახლოებით 60 კმ არის მიწისქვეშა.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან არსებული დავის ფარგლებში ჯგუფს შეზღუდული აქვს 964,548 და 994,071 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

სასამართლო დავის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-19 შენიშვნაში.

12. იჯარები

ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ფართი სერვერების განსათავსებლად. აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია ლარში.

ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს სერვერების განსათავსებლად აღებული საიჯარო ფართის შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლების გამოყენებას 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელებს.

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 1 იანვარი	285,082
შემოსვლა	-
ცვეთა	(47,514)
2019 წლის 31 დეკემბერი	237,568
2020 წლის 1 იანვარი	237,568
შემოსვლა	-
ცვეთა	(47,514)
2020 წლის 31 დეკემბერი	190,054

საიჯარო ვალდებულებებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

2019 წლის 1 იანვარი	285,082
საპროცენტო ხარჯი	32,090
გადახდა	(38,916)
2019 წლის 31 დეკემბერი	278,256
2020 წლის 1 იანვარი	278,256
საპროცენტო ხარჯი	27,736
გადახდა	(66,712)
2020 წლის 31 დეკემბერი	239,280

საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

საიჯარო ვალდებულების დაყოფა ვალუტებისა და დაფარვის ვადების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

13. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
მშენებლობისთვის გამიზნული მარაგები	307,040	691,518
გასაყიდი პროდუქტი	135,215	252,039
სხვა	32,582	5,940
	474,837	949,497

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე არსებული მარაგების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასების ზარალს 199,661 და 738,076 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასების რეზერვი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
მშენებლობისთვის გამიზნული მარაგები	(2,420,782)	(2,415,347)
გასაყიდი პროდუქტი	(3,109,015)	(3,096,689)
სხვა	(472,994)	(291,095)
	(6,002,792)	(5,803,131)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	-	9,014,023
მოკლევადიანი მოთხოვნები		
ფინანსური მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	13,609,589	1,436,518
სახელშეკრულებო აქტივი	-	921,883
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,978,717	4,353,920
საექვო ვალების რეზერვი	(3,709,656)	(2,691,496)
	13,878,650	4,020,825
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	182,058	170,641
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,888	358
საექვო ვალების რეზერვი	(143,566)	(135,644)
	40,380	35,355
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	13,919,030	4,056,180
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,919,030	13,070,203

(*) - 2019 წელს ჯგუფის მფლობელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საცალო ბიზნესის რეალიზაციიდან წარმოშობილი მოთხოვნა გაიქვითება დივიდენდების ვალდებულებასთან, რომელსაც მფლობელები 2021 წელს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გამოაცხადებენ. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,014,023 ლარის მოთხოვნები ჯგუფის დედა კომპანიასთან წარდგა, როგორც გრძელვადიანი.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოთხოვნის თავდაპირველი აღიარება მოხდა რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარების 1,499,933 ლარის ეფექტი აისახა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯი.

შპს მათეკომის მიმართ არსებული მოთხოვნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ამორტიზებადი ღირებულებით. ამორტიზაციის ეფექტი აისახა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და შეადგინა 781,976 ლარი. განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია დადისკონტირებისთვის არის 8%.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში. საკონტრაქტო აქტივისთვის საანგარიშგებო წლის საწყისისა და საბოლოო ნაშთების რეკონსილაცია იხილეთ მე-6 შენიშვნაში.

ფინანსური მოთხოვნების რეალური ღირებულებები არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

ფინანსური აქტივების ხარისხობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ჯგუფს ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კლიენტთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების შესაბამისად, ისინი იყოფიან ფიზიკურ და იურიდიულ პირებად, საცალო, საბითუმო და საბოლოო მომხმარებლებად, ასევე გათვალისწინებულია მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ინდუსტრია, ვადიანობის პროფილი, ხანდაზმულობა და წარსული ფინანსური სირთულეების არსებობა. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ჯგუფი ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

ჯგუფის მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ. ახალი მომხმარებლის მიღების წინ ჯგუფი აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

ჯგუფის მოთხოვნები გაუფასურდა როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	ზარალების ალბათობა	გაუფასურების ანარიცხი
გაუფასურებისთვის ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადუმდგარი	1,910,360	1%	(19,104)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	931,857	10%	(93,186)
ვადაგადაცილება 31-120 დღე	22,052	25%	(5,512)
ვადაგადაცილება 121-365 დღე	19,439	50%	(9,720)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,387,230	100%	(2,387,230)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	5,270,938		(2,514,752)
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები			
ინდივიდუალურად გაუფასურებული*	12,499,426		(1,338,470)
	12,499,426		(1,338,470)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,770,364		(3,853,222)

(*) – მდგომარეობით ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნები ძირითადად შედგება მშობელი საწარმოს მიმართ არსებული მოთხოვნებისგან ჯამური ღირებულებით 11,160,956 ლარი.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	ზარალების ალბათობა	გაუფასურების ანარიცხი
გაუფასურებისთვის ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადამდგარი	2,525,351	1%	(25,254)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	73,293	10%	(7,329)
ვადაგადაცილება 31-120 დღე	21,674	25%	(5,418)
ვადაგადაცილება 121-365 დღე	102,023	50%	(51,012)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,294,946	100%	(2,294,946)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	5,017,287		(2,383,959)
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები			
ინდივიდუალურად გაუფასურებული*	10,879,698		(443,181)
	10,879,698		(443,181)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,896,985		(2,827,140)

(*) – მდგომარეობით ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნები ძირითადად შედგება მშობელი საწარმოს მიმართ არსებული მოთხოვნებისგან ჯამური ღირებულებით 9,014,023 ლარი.

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვრისთვის	(2,827,140)	(2,853,996)
რეზერვის შემცირება	20,034	135,614
რეზერვის ზრდა	(1,187,395)	(108,758)
გაუფასურებული მოთხოვნების გადაფასების ეფექტი	114,989	-
	(1,052,372)	26,856
ჩამოწერილი მოთხოვნები	26,290	-
31 დეკემბრისთვის	(3,853,222)	(2,827,140)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე ტარდება გაუფასურებით გამოწვეული ყველა ზარალი იმ ეტაპამდე, სანამ მისი ამოღების ყველანაირი შესაძლებლობა არ ამოიწურება. ამის შემდგომ ფინანსური აქტივი მიიჩნევა უიმედოდ და პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ ჩამოიწერება.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულისა და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	66,422	8,483
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	12,050	104,053
	78,472	112,536

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

გრძელვადიანი სხვა ვალდებულებები სრულად წარმოდგენილია როგორც დღ-ს ვალდებულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების რეალიზაციის შედეგად. დღ-ს ვალდებულება გრძელვადიანი ვალდებულებებიდან რეკლასიფიცირდება მოკლევადიანად იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო მიზნებისათვის მოუწევს დადეკლარირება.

მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულება	2,927,737	2,884,975
სახელფასო ვალდებულება	27,695	24,713
სხვა ვალდებულება	549,536	515,840
	3,504,968	3,425,528
არაფინანსური ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულება	193,453	213,000
	3,698,421	3,638,528

ფინანსური ვალდებულებების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

17. მიღებული ავანსები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
საიჯარო მომსახურებისთვის მიღებული ავანსები*	1,553,632	1,836,111	2,118,589
სახელშეკრულებო ვალდებულება**	-	658,071	658,071
სხვა	98,164	130,675	72,917
	1,651,796	2,624,857	2,849,577

(*) - საიჯარო მომსახურებისთვის მიღებულ ავანსებს წარმოადგენს შპს დელტა კომში და შპს რკინიგზის ტელეკომს შორის 2011 წლის 11 ივლისს გაფორმებული ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით გადაცემული ღირებულების სანაცვლოდ მიღებულ ავანსს, რომელიც უნდა გაიქვითოს მომავალი 15 წლის განმავლობაში. რადგან იჯარის ვადა არ მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მნიშვნელოვან ნაწილს, შეთახმება განხილულია როგორც საოპერაციო იჯარა და აღრიცხულია ფასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად.

(**) - 2009 წლის დეკემბრის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს ჯეოსელმა შეთანხმებული 2000-კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიდან 2011-დან 2013 წლამდე პერიოდში შეიძინა 1,897 კმ. 2018 წლის 1 ნოემბრიდან განხორციელდა შპს ჯეოსელის შერწყმა სს სილქნეტთან. შესაბამისად, შპს ჯეოსელის ნაცვლად 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მიღებული ავანსი უფიქსირდება სს სილქნეტთან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსის ნაშთი წარმოადგენდა დანარჩენ 103 კმ-ზე ავანსად მიღებულ თანხას, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს სრულად გაიქვითა გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურებიდან წარმოქმნილ მოთხოვნასთან.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფის და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
	დამფუძნებელი	დამფუძნებელი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,507,700	11,372,424
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,370	297,967

სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
	დამფუძნებელი	დამფუძნებელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	62,635	905,491
შემოსავალი სამშენებლო და სხვა მომსახურებებიდან	7,421,149	12,322,113
სხვა შემოსავალი, წმინდა	173,538	278,414
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	781,976	(1,499,933)
ზარალი გაუფასურებიდან	(87,524)	(14,365)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(35,162)	(66,576)

2020 და 2019 წლის განმავლობაში დამფუძნებლისგან შესყიდული მარაგების ღირებულება შეადგენს 101,905 და 86,475 ლარს, წლების შესაბამისად.

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2019
- თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	60,000	70,405

19. პირობითი ვალდებულებები**სასამართლო დავები**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია სასამართლო დავა შპს სატრანსპორტო კომპანიასთან. დავის საგანია უნდა მომხდარიყო თუ არა 2018 წელს იჯარის ხარჯების დარიცხვა გაზრდილი ტარიფის შესაბამისად. სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შესაბამისად მენეჯმენტი არ მოელის რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჯგუფიდან მოხდება მომავალში სარგებლის გასვლა, რადგან ვალდებულებები და საიჯარო ხარჯები სრულად აქვს აღიარებული შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან არსებული ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. შპს სატრანსპორტო კომპანიამ გაასაჩივრა სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ჯგუფს აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, ჯგუფს არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

4 K Communication LLC-ის ფუნქციონალური ვალუტა არის სომხური დრამი რომელიც განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტისგან (ქართული ლარი). ბასს 21-ის (უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები) მიხედვით სამუშაო ვალუტის ნაცვლად წარსადგენ ვალუტად სხვა ვალუტის გამოყენების შემთხვევაში აქტივები და ვალდებულებები თითოეული წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისათვის (ე.ი. შესადარისი მონაცემების ჩათვლით) გადაიანგარიშება ამ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით. შემოსავალი და ხარჯები თითოეული კონსოლიდირებული ანგარიშგებისთვის, სადაც წარდგენილია კონსოლიდირებული სრული შემოსავალი წლის განმავლობაში არსებული საშუალო სავალუტო კურსით, ხოლო გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო და მოგება-ზარალის გადანაგარიშებისთვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	<i>საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი</i>		
	<i>სომხური დრამი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	0.0063	3.2766	4.0233
2020 წლის საშუალო კურსი	0.0064	3.1097	3.5519
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	0.0060	2.8677	3.2095
2019 წლის საშუალო კურსი	0.0059	2.8192	3.1553

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილი კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან, მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილი კომპანიაში არამაკონტროლებელი წილის ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ბალანსს.

არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით. გაუფასურების რეზერვის ცვლილება აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს გარიგების საწყის ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი სახელშეკრულებო დატვირთვებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელთა გამოყენება საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში შეზღუდულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ, კლასიფიცირდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება ძირითადი საშუალებისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები ჰქონდეს. ამგვარი ნაწილები აღირიცხება ცალკე.

ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

შენობა-ნაგებობები

20-25

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და ინფრასტრუქტურა

15-25

ქსელური და მონაცემთა ბაზის აღჭურვილობა

5-8

მანქანა-დანადგარები

5-8

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა

4-8

სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა

4-8

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა ამოწმებს ძირითად საშუალებებს გაუფასურებაზე. თუ არსებობს ამის ნიშნები ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

ნარჩენი ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

აქტივის გაუფასურების ზარალის კომპენსირება დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ მოცემული აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან აღიარდება შესაბამისი პერიოდის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგების გარდა, განიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

გაუფასურების მიმოხილვის მიზნებისთვის, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება უმცირეს იდენტიფიცირებად ჯგუფებად, რომელიც წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან (ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეული).

ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის ან ერთეულთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელსაც განეკუთვნება კორპორაციული აქტივი.

გაუფასურების ზარალი აღიარდება როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეული აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა და ზარალში. ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის გაუფასურების ზარალის აღიარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: პირველ რიგში, გაუფასურების ზარალი უნდა განაწილდეს ფულადი სახსრების წარმოქმნილ ერთეულზე მიკუთვნებულ გუდვილზე და შემდგომ მოცემული ერთეულის სხვა აქტივებზე მოცემულ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას (მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მემშვეობით პირდაპირ ან შესაბამისი გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში. ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

შეუზღუდავი გამოყენების უფლება

შეუზღუდავი გამოყენების უფლების (IRU) შეთანხმებები ძირითადად დაკავშირებულია სპეციფიკური ინფრასტრუქტურის შეძენას და/ან რეალიზაციასთან, განათების ოპტიკურ-ბოჭკოვანი სიმძლავრის შეძენას და/ან რეალიზაციასთან და ქსელის ინფრასტრუქტურის ან განათების ბოჭკოვანი სიმძლავრის გაცვლასთან. ასეთი შეთანხმებები აღირიცხება, როგორც იჯარები, მომსახურების კონტრაქტები ან ნაწილობრივ, როგორც იჯარა და ნაწილობრივ, როგორც მომსახურების კონტრაქტი. შესაბამისი კლასიფიკაციის დადგენა დამოკიდებულია ხელშეკრულების მახასიათებლების შეფასებაზე.

ქსელის სიმძლავრის ხელშეკრულება აღირიცხება, როგორც იჯარა მაშინ, როდესაც:

- მყიდველს აქვს ექსკლუზიური უფლება ქსელის კონკრეტულ მოცულობაზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და აქვს შესაძლებლობა გადაყიდოს (ან იჯარით გასცეს) იგი;
- სიმძლავრე არის ფიზიკურად შეუზღუდული და განსაზღვრული;

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მყიდველი პასუხისმგებელია ყველა დანახარჯზე რაც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ქსელის სიმძლავრესთან, საოპერაციო, ადმინისტრაციული და შენარჩუნების ხარჯების ჩათვლით; და
- ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მყიდველი ფლობს მოძველების რისკს.

თუ ყველა აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, შეუზღუდავი გამოყენების უფლების შეთანხმება არ ითვლება მომსახურების კონტრაქტად.

თუ იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მნიშვნელოვან ნაწილს, ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც რეალიზაცია და აღირიცხება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, სხვა შემთხვევაში ტრანზაქცია განიხილება, როგორც საოპერაციო იჯარა და აღირიცხება ფასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პერიოდი

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად:

- სამშენებლო მომსახურება მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, დანახარჯებზე დაფუძნებული გამოყენებული რესურსების მეთოდით.
- გადაცემული ღერების ტექნიკური მომსახურები, რომელიც მოიცავს „შეუზღუდავი გამოყენების უფლების“ ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული წვერების პროფილაქტიკურ-ტექნიკურ და საავრიო აღდგენითი მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან მოიცავს საბოლოო მომხმარებელთან ინტერნეტ მომსახურებებს და შეერთების პორტებთან დაშვების მომსახურებებს.
- შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციას.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს და მყიდველად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, ჯგუფის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე, გარდა კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციისა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელს კონტროლი გადაეცემა ჯგუფის საწყობიდან კომპიუტერული ტექნიკის გატანის მომენტში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებისთვის მომსახურების გაწევასა და ანაზღაურებას შორის პერიოდი არ აჭარბებს ერთ წელს. შედეგად არ ხდება გარიგების ფასის კორექტირება ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე.

დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტად არ განიხილება მომსახურების ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მიღებული ავანსები, თუ მომხმარებელი განსაზღვრავს საქონლის ან მომსახურების გადაცემის დროს.

გარიგების ფასის განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავალი ეფუძნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფიქსირებულ თანხებს. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად მომხმარებლებისგან ანგარიშსწორების მიღება ხორციელდება ძირითადად 30-45 დღის ვადაში მომსახურების დასრულებიდან ან პროდუქციის მიწოდებიდან.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში ჯგუფი ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

20. მნიშვნელოვანი საარიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას,

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის

20. მნიშვნელოვანი სადარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის

უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. შემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ

ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს “დელტა კომბი” და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2020 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ჯგუფის შესახებ.....	4
2. სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო.....	4
3. ბიზნეს მიმართულებები	5
4. სამომავლო პერსპექტივები და განვითარების გეგმები	6
5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი.....	6
6. ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი ფინანსური და საოპერაციო რისკები.....	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არა მოდიფიცირებული მოსაზრება შპს დელტა კომმის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 30 მარტს.

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციას და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

14 მაისი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს დელტა კომმის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას**

ჩვენ გამოვთქვით არა მოდიფიცირებული მოსაზრება შპს დელტა კომმის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 30 მარტს.

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხედრობა 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას შორის ასევე არის არაარსებითი.



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

14 მაისი 2021

1. ჯგუფის შესახებ

1.1. ზოგადი ინფორმაცია და ჯგუფის საქმიანობის ანალიზი

შპს „დელტა კომმი“ (ს/კ 204991795) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანია შპს „მაგთიკომის“ შვილობილს წარმოადგენს და 100%-ით მის საკუთრებაში შედის. 2016 წლის ნოემბერში შპს „მაგთიკომმა“ შეიძინა შპს „დელტა კომმი“ და მისი 100%-იანი წილის შვილობილი კომპანიები: შპს მერქანი, შპს ა-ნეტი და შპს დელტა-ნეტი. 2017 წლის თებერვალი მოხდა სამივე შვილობილი კომპანიის შერწყმა შპს „დელტა კომმთან“ და იმავე წლის მარტის თვეში შპს „მაგთიკომმა“ შპს „დელტა კომმ“-ისგან შეიძინა საცალო ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული აქტივები.

შპს დელტა კომმის ჯგუფის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალში გაუნათებული ღერების ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით (IRU) გადაცემა, მასზე მესამე პირების დაშვების უზრუნველყოფის მიზნით და აღნიშნული მაგისტრალის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება.

გარდა ამისა, შპს დელტა კომმი საქართველოს ტერიტორიაზე საბითუმო ფიქსირებული ინტერნეტის ერთ-ერთი მიმწოდებელია.

შპს „დელტა კომმი“ არის IBM, CISCO SYSTEMS, LENOVO, Dell, Juniper, Tripp Lite და Pelco-ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. კორპორატიული კლიენტების მოთხოვნიდან გამომდინარე ახდენს აღნიშნული ბრენდების პროდუქციის რეალიზაციას და ტექნიკურ მხარდაჭერას.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც წარმოდგენილია სამი წევრით: გიორგი ჯოხთაბერიძე, ანდრია ზოდელავა და ნათია კახიძე.

შპს დელტა კომმის გენერალური დირექტორია ზურაბ ზარიძე.

შპს „დელტა კომმი“ დაფუძნდა 2002 წლის სექტემბერში, რეგისტრირებული და ფაქტიური ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, გაფრინდაულის ქუჩა #2.

1.2. დამფუძნებლები და შვილობილი კომპანიები

შპს „დელტა კომმი“-ს მფლობელი არის შპს „მაგთიკომი“ და სრულად კონტროლდება მის მიერ.

შპს „დელტა კომმი“-ს 75%-იან საკუთრებაშია სომხეთში რეგისტრირებული კომპანია 4K Communication. 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4 K Communication LLC არ ახორციელებდა საოპერაციო საქმიანობას. შედეგად, მისი ფინანსური გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ შედეგებში არამატერიალურია. 4 K Communication LLC არაარსებითაა როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

2. სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარს და მასში მონაწილე პირებს ზედამხედველობას უწევს კომუნიკაციების კომისია. შპს „დელტა კომმი“ გააჩნია ავტორიზაცია კომუნიკაციების კომისიისგან თავისი საქმიანობის წარმოებისათვის. კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად კომპანია ექვემდებარება კომუნიკაციების კომისიის შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებს.

2. სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო (გაგრძელება)

2019 წლის 18 აპრილს კომუნიკაციების კომისიამ თავისი კვლევით განსაზღვრა მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიული მიმართულებები/მარშრუტები. იმავე თარიღის №235/19 გადაწყვეტილებით კომისიამ, ბაზარზე მოქმედ სხვა კომპანიებთან ერთად, შპს „დელტა კომმი“ ცნო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად მაგისტრალურ/ძირითად („trunk”) ქსელთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე. კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილებით კომპანიას დაეკისრა დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანია არ უწევს გარეშე პირებს ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მომსახურებას, განცალკევებული ანგარიშების ვალდებულება მაინც ძალაშია შპს „დელტა კომმი“-ს მიმართ.

კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების ნახვა შესაძლებელია კომისიის ვებ-გვერდზე <https://comcom.ge/uploads/other/3/3614.pdf>.

3. ბიზნეს მიმართულებები

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- **ინტერნეტის რეალიზაცია**
- ჯგუფი ახორციელებს ინტერნეტის მომსახურების მიწოდებას სხვადასხვა იურიდიული პირებისთვის. ამ მიმართულებით ბაზარზე მთავარ კონკურენტებს წარმოადგენენ შპს „კავკასუს ონლაინი“, სს „სილქნეტი“. კონკურენტებად წარმოდგენილები არიან ასევე ახალი ქსელები, სქაიტელი, ახტელი, თუმცა მათი წილი ბაზარზე მინიმალურია და ძირითადად სავალო, ე.წ საყოფაცხოვრებო სექტორს ემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის ფასები მუდმივი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც კავშირშია, როგორც ინტერნეტის რეალიზაციის, ასევე ინტერნეტის შესყიდვის ფასებთან მიმართებაში.
- **მაგისტრალური და საბონენტო ქსელის მშენებლობა**
შპს დელტა კომმა თავისი არსებობა დაიწყო კავშირგაბმულობის ქსელის მშენებლობით საქართველოში, ამ ქსელის შემდგომი გამოყენების მიზნით სერვისების სარეალიზაციოდ. აღნიშნული მიმართულებით ჯგუფს დაუგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელსაც დღეს იყენებს მისი მშობელი კომპანია „შპს მაგთიკომი“. 2017 წლიდან დაწყებული ქსელის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს მნიშვნელოვანი წილი უკავია ჯგუფის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მხრივ. შპს „დელტა კომმი“ ქსელზე მომხდარი დაზიანებების აღმოფხვრის მომსახურებასაც ძირითადად მშობელ კომპანიას უწევს.
- **საკუთრებაში არსებული ოპტიკურ მაგისტრალში ოპტიკური წყვილების იჯარა**
შპს „დელტა კომმის“ საქმიანობებიდან ერთ-ერთია საკუთრებაში არსებული ოპტიკური კაბელის შემადგენელი წვერების იჯარით გაცემა.
- **ხელშეუვალი გამოყენების უფლებით (IRU) გაცემული არხების მოვლა**
შპს დელტა კომმს ხელშეუვალი გამოყენების უფლებით (IRU) გადაცემული აქვს საკუთარი არხები შპს „მაგთიკომი“-სთვის და სს „სილქნეტისთვის“. აღნიშნული არხების მოვლას უზრუნველყოფს შპს „დელტა კომმი“, რომლისთვისაც ის გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურების სანაცვლოდ იღებს შესაბამის საფასურს.
- **საინფორმაციო-ტექნოლოგიური აპარატურის რეალიზაცია და მომსახურება**
გაზრდილი კონკურენციის გამო აქტიურობა აღნიშნული ბიზნეს მიმართულებით ძალიან დაბალია და წლიდან წლამდე მცირდება.

4. სამომავლო პერსპექტივები და განვითარების გეგმები

შპს დელტა კომმის სტრატეგიული მიზანია, რეგიონში კავშირგაბმულობის არხებისა და ინტერნეტის საბითუმო რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, ეფექტური და დივერსიფიცირებული ქსელის მოწყობა. გარდა ამისა, ჯგუფი ავითარებს თავის გამოცდილებას მაგისტრალური და სააბონენტო ქსელების მშენებლობისა და ოპერირების კუთხითაც.

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება (ინტერნეტის რეალიზაცია) და მონაცემთა გადაცემის გამოყოფილი ხაზებით მომსახურების გაფართოება წარმოადგენს ჯგუფის სამომავლო განვითარების მიმართულებას, რამეთუ თავისი ინფრასტრუქტურის საშუალებით შპს „დელტა კომმს“ შეუძლია განახორციელოს ინტერნეტის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიაზე.

შპს „დელტა კომმ“-ს განზრახული აქვს გააძლიეროს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით ადგილობრივ ბაზარზეც.

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

2020 წელს ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა 2019 წლის ფინანსურ უწყისებში, რაც გამოიხატა შემოსავლებისა და ხარჯების გარკვეული მუხლების რეკლასიფიკაციაში, რასაც ზეგავლენა არ მოუხდენია საბოლოო მოგება/ზარალზე. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციის ეფექტი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

	2020	2019
ამონაგები	11,319,571	16,761,878
გაწეული მომსახურებისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(11,329,014)	(15,822,583)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,098,317)	(3,419,556)
კომერციული ხარჯები	(56,536)	(60,259)
ზარალი (ამობრუნება) გაუფასურებულდან	(1,252,033)	(812,059)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	504,299	316,164
საოპერაციო ზარალი	(2,912,030)	(3,036,415)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	754,240	(1,532,023)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა	1,218,094	718,246
მთლიანი სრული ზარალი	(939,696)	(3,850,192)

შემოსავალი

2020 წელს ჯგუფის შემოსავლები შემცირდა 32%-ით, რაც ძირითადად განპირობებული იყო დამკვეთის მხრიდან სამშენებლო სამუშაოების მოცულობის შემცირებით.

ცხრილში მოცემულია შპს დელტა კომმის 2019-2020 წლების შემოსავლების ჩაშლა:

	2020	2019	ცვლილება %
შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან ³	3,792,402	2,019,725	88%
გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი ²	3,653,789	3,305,097	11%
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან ¹	3,454,460	9,557,510	-64%
შემოსავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარიდან	239,389	239,389	0%
შემოსავალი IT საქონლის რეალიზაციიდან ⁴	179,531	1,640,157	-89%
	11,319,571	16,761,878	-32%

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (გაგრძელება)

(1) - 2020 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა ჯგუფის შემოსავლის წყაროები. თუ წინა წლებში შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი ეჭირა სამშენებლო (სარემონტო) მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, 2020 წელს ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. სამშენებლო სამუშაოები რადიკალურად შემცირდა და ძირითადად შემოიფარგლა რემონტებით. აღნიშნული შემოსავლის მუხლმა 64%-იანი შემცირება განიცადა. ჯგუფი არ ელის ახალი ქსელის მშენებლობის სერვისზე მოთხოვნის მნიშვნელოვან ზრდას უახლოეს მომავალში.

ცხრილში მოცემულია 2019 და 2020 წლებში ჯგუფის მიერ დამკვეთებისთვის მიწისქვეშა ქსელის რემონტსა და მიწისქვეშა ახალი ქსელის მშენებლობაზე დახარჯული დამკვეთების კუთვნილი კაბელების სიგრძეები (მეტრებში):

	2020	2019
რემონტი	11,324	10,111
მშენებლობა	15,194	262,088
	26,518	272,199

(2) - 11%-იანი ზრდა მუხლში „გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი“ განპირობებულია მხოლოდ საკურსო ცვლილებით, რამეთუ აღნიშნულ მომსახურებაზე გაფორმებული კონტრაქტები დენომინირებულია აშშ დოლარში, შესაბამისად მასზე პირდაპირ პროპორციულად აისახა ლარის დეველაციის ეფექტი.

(3) - მნიშვნელოვანი ზრდა იყო მუხლში - შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან, რომელიც 2019 წელთან შედარებით 88%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო როგორც სავალუტო კურსის სხვაობით (კონტრაქტების ნაწილი უცხოურ ვალუტაშია გაფორმებული), ასევე ახალი კლიენტების დამატებით.

(4) - IT საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული მიმართულება ძირითადად შემოიფარგლება უკვე რეალიზებული პროდუქციის საგარანტიო მომსახურებით. ახალი პროდუქციის რეალიზაცია ხდება არსებულ კლიენტებზე. ზაზარზე გაზრდილი კონკურენტული პირობების გამო აღნიშნული მიმართულებით შემოსავლების მნიშვნელოვანი კლებაა. შემოსავლის კლების გარდა 2019 წელს შემცირდა მოგება IT საქონლის რეალიზაციიდან. 2018 წელს მთლიანი მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან იყო 550,616 ლარი, მაშინ როდესაც 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დავიდა 71,715 ლარამდე. 2020 წელს მოგებამ IT საქონლის რეალიზაციიდან შეადგინა 42,175 ლარი.

ხარჯები (ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების გარდა)

2020 წელს შემცირებული სამშენებლო მომსახურების მოცულობის პირობებში შპს „დელტა-კომი“-ს ხარჯები (ადმინისტრაციული ხარჯებისა და IT პროდუქციის თვითღირებულების გარეშე) 3,062 მილიონი ლარით (21%) შემცირდა წინა წელთან შედარებით.

გაწეული მომსახურების თვითღირებულების შემადგენელი ნაწილები მოყვანილია ქვედა ცხრილში:

	2020	2019	ცვლილება %
გაწეული მომსახურების თვითღირებულება**	(8,337,978)	(7,250,379)	15%
ინტერნეტის შესყიდვის ხარჯი	(3,681,766)	(465,337)	691%
ცვთა	(2,063,247)	(2,227,520)	-7%
ხელფასები	(924,622)	(1,868,049)	-51%
კაბელის განთავსების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები	(836,722)	(839,937)	0%
რემონტის და შეკეთების ხარჯები	(710,942)	(1,591,047)	-55%
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯი	(118,276)	(238,820)	-50%
სხვა ხარჯები	(2,403)	(19,669)	-88%

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (გაგრძელება)

	2020	2019	ცვლილება %
სამშენებლო კონტრაქტის თვითღირებულება*	(2,853,680)	(7,003,762)	-59%
ხელფასები	(1,605,398)	(2,923,223)	-45%
საწვავი	(504,618)	(1,144,020)	-56%
ცვეთა	(459,594)	(666,049)	-31%
მივლინების ხარჯი	(162,104)	(1,107,053)	-85%
შესყიდული მომსახურებების ხარჯი	(53,681)	(938,640)	-94%
გამოყენებული მარაგები	(68,285)	(224,777)	-70%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(137,356)	(1,568,442)	-91%
	(11,329,014)	(15,822,583)	-28%

(*) - სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯი განპირობებული იყო ძირითადად დამკვეთის ქსელის სარემონტო სამუშაოებით. რემონტების მოცულობა დაახლოებით 2019 წლის მოცულობის ტოლი იყო. ახალი ქსელის მშენებლობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2020 წელს და წინა წლის მოცულობის 5.8% შეადგინა (გახარჯული მასალების მოცულობის მიხედვით). შემცირებული სამშენებლო მომსახურების პირობებში შემცირდა სერვისის გასაწევად საჭირო ისეთი ხარჯები, როგორებიცაა:

ხელფასები (ზეგანაკვეთური), საწვავის, მივლინების, მასალებისა და შესყიდული მომსახურების. აღნიშნული ხარჯის შემცირებამ ჯამურად 4,15 მილიონი ლარი შეადგინა (59%-იანი კლება 2019 წელთან შედარებით). აღნიშნული სერვისიდან მოგებამ 2020 წელს შეადგინა 600,8 ათასი ლარი და მომგებიანობამ 17.4%.

(**) - საოპერაციო ხარჯებში მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა ინტერნეტის შესყიდვის მხრივ. გაზრდილი მოთხოვნის პირობებში ჯგუფმა გაზარდა შესყიდული ინტერნეტის მოცულობა, რამაც წლიური ხარჯის 3,2 მილიონი ლარით ზრდა განაპირობა. 2020 წელს გაიზარდა ჯგუფის შემოსავალიც აღნიშნული მიმართულებით, თუმცა მნიშვნელოვანი ზრდა შემოსავლებში მოხდა ოქტომბრის თვიდან. შესაბამისად, 2020 წლის შედეგები გაზრდილ მოთხოვნას (და შესაბამის რეალიზაციას) არ ასახავენ სრული წლისთვის. აღნიშნული მიზეზი წარმოადგენს 2020 წელს მოდიფიცირებული საოპერაციო მოგების გაუარესების მთავარ მიზეზს. სხვა თანაბარ პირობებში 2021 წლის მოდიფიცირებული საოპერაციო მოგების მაჩვენებელი იქნება გაუმჯობესებული, რამეთუ ინტერნეტის რეალიზაციიდან გაზრდილი შემოსავალი ასახული იქნება სრულ წელზე.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საკადრო ოპტიმიზაციის შედეგად 2020 წელს მოხდა ადმინისტრაციული სახელფასო ხარჯის შემცირება 374 ათასი ლარით. ოპტიმიზირებული სამეურნეო აქტივობების შედეგად მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა ასევე საწვავის და სხვა ხარჯების მუხლებში.

ამორტიზაციისა და ცვეთის ხარჯის შემცირების გარეშე ადმინისტრაციული ხარჯების ჯამურმა კლებამ 2019 წელთან შედარებით 895 ათასი ლარი შეადგინა (ამორტიზაციისა და ცვეთის ხარჯების ჩათვლით - 1,321 ათასი ლარი).

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (გაგრძელება)

	2020	2019	ცვლილება %
ხელფასები და სხვა სარგებელი	(921,569)	(1,295,782)	-29%
ცვეთა და ამორტიზაცია	(309,482)	(735,691)	-49%
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(205,372)	(258,698)	-21%
კომუნალურები	(240,949)	(247,431)	-3%
ქონების დაზღვევა	(104,247)	(120,977)	-14%
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მოსახუება	(101,130)	(126,662)	-20%
რემონტის და შეკეთების ხარჯები	(56,207)	(141,251)	-60%
საწვავი	(30,306)	(142,326)	-79%
სხვა	(129,055)	(350,738)	-63%
	(2,098,317)	(3,419,556)	

მნიშვნელოვანი ოპტიმიზაციები უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი.

კომერციული ხარჯი (მიწოდების ხარჯი)

კომერციული ხარჯები წარმოადგენს ჯგუფის საცალო გაყიდვების სტრუქტურულ ერთეულთან დაკავშირებულ ხარჯს. საცალო ბიზნეს-მიმართულების შემცირების პარალელურად აღნიშნული ერთეული ხარჯებიც კლების დინამიკით ხასიათდება.

ზარალი (ამობრუნება) გაუფასურებიდან

არაფულადი ხარჯი წარმოდგენილია უდიდეს წილად მარაგების ჩამოფასებიდან და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებიდან.

სხვა შემოსავალი (ხარჯი)

მცირედი ცვლილება არაგანგრძობითი სახის წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგების სახით:

	2020	2019	ცვლილება %
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	276,427	(31,026)	-991%
შემოსავალი სამშენებლო მარაგების რეალიზაციიდან	41,065	56,547	-27%
საიჯარო შემოსავალი	180,646	164,427	10%
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი და მომსახურება	6,161	93,344	-93%
სხვა	-	32,872	-100%
	504,299	316,164	60%

დასაქმება და სახელფასო ხარჯები - 2020 წელს განხორციელებული რეკლასიფიკაციის შედეგად 2019 წელს ადმინისტრაციული ხარჯებიდან საოპერაციო ხარჯებში გადავიდა საოპერაციო მიმართულების თანამშრომლების გამოუყენებელი დროის შესაბამისი სახელფასო ხარჯი, რომელიც მანამდე ირიცხებოდა ადმინისტრაციულ ხარჯებში. შედეგად ხელფასების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	ცვლილება %
საოპერაციო პერსონალის სახელფასო ხარჯები	(2,530,020)	(4,791,272)	-47%
ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ხარჯები	(921,569)	(1,295,782)	-29%
	(3,451,589)	(6,087,054)	-43%

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი (გაგრძელება)

გარდა ამისა, 2020 წელს ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 2019 წელთან შედარებით და შესაბამისი წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 206 და 375 ადამიანი.

საბალანსო უწყისთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება გარდა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების (უმთავრესად ცვეთისა და ამორტიზაციის შედეგად) და მარაგებისა. ასევე, სავაჭრო და სხვა მოთხოვნის (საცალო ბიზნესის რეალიზაციიდან წარმოშობილი მოთხოვნა, რომელიც გაიქცეოდა დივიდენდების ვალდებულებასთან, რომელსაც მფლობელები 2021 წელს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გამოაცხადებენ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,014,023 ლარის მოთხოვნები დედა კომპანიასთან წარდგა, როგორც გრძელვადიანი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი) რეკლასიფიკაცია, რაც დეტალურად არის განხილული 2020 წლის აუდიტრულ ანგარიშში.

ჯგუფს არ გააჩნია დავალიანება საბანკო დაწესებულებების მიმართ. მისი საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები უზრუნველყოფს ჯგუფის საქმიანობას საოპერაციო და მცირე საინვესტიციო მიმართულებით.

ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „დელტა კომმი“ წარმოადგენს თავისი მფლობელი კომპანიის - შპს „მაგთიკომის“ საქმიანობისთვის ხელშემწყობ სერვის მიმწოდებელს, მისი საქმიანობის შეფასებისა და ფინანსური კონტროლის მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფულადი სახსრების გენერირების მაჩვენებელი.

აღნიშნულის შესაფასებლად ჯგუფი ანგარიშობს მოდიფიცირებულ საოპერაციო მოგებას, რომელიც ტოლია საოპერაციო მოგებიდან არაგანგრძობადი (არაფულადი) ოპერაციებისა და „ცვეთისა და ამორტიზაციის“ ელიმინირებით მიღებული მაჩვენებლის.

	2020	2019
მოდიფიცირებული საოპერაციო მოგება *	1,172,326	1,404,904

* დაანგარიშების წესი: საოპერაციო ზარალი - ზარალი (ამობრუნება) გაუფასურებიდან - ცვეთა და ამორტიზაცია

6. ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი ფინანსური და საოპერაციო რისკები

ისევე როგორც მშობელი კომპანიისთვის, შპს „დელტა კომმისთვის“ რელევანტურია შემდეგი სახის ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი;
- რეგულირების რისკი;

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა ჯგუფს შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით.

საკრედიტო რისკი ჯგუფს შეიძლება წარმოეშვას კონტრაგენტების მხრიდან არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან. აღსანიშნავია, რომ საბითუმო ინტერნეტის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კონსიგნაციით იხდის მომსახურების ღირებულებას. ჯგუფი ცდილობს მათთან ურთიერთობების გაღრმავებას და პერმანენტულად აკონტროლებს მათი გადახდისუნარიანობის დონეს.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით, რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა.

6. ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი ფინანსური და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი - გამომდინარე იქიდან, რომ სატელეკომუნიკაციო ქსელის მშენებლობისა და მოდერნიზაციისთვის საჭირო მოწყობილობების წარმოება საქართველოში არ ხდება, ტელეკომუნიკაციის ოპერატორებს უწევთ აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფის და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის იმპორტი. შედეგად, ჯგუფის ვალდებულებები წარმოემოზა უცხოურ ვალუტაში (ძირითადად ევროსა და ამერიკულ დოლარში) და დგება სავალუტო რისკის წინაშე. რისკის დაზღვევის მიზნით, მენეჯმენტი ბიუჯეტირების პროცესში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

რეგულირების რისკი - ჯგუფის მენეჯმენტი არ გამორიცხავს, რომ კომუნიკაციების კომისიამ მიიღოს დარგთან დაკავშირებული დამატებითი რეგულაციები, რომლებმაც შესაძლოა შეზღუდონ და/ან უარყოფითად იმოქმედონ ჯგუფის საქმიანობასა და დარგზე.

ჯგუფის ფინანსური რისკების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

ახალი კორონა ვირუსის გავლენის შეფასება - 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

2020 წლის მარტიდან ჯგუფმა თანამშრომლების ნაწილი დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანა.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი 2020 წლის 28 ნოემბრამდე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, 8 დიდ ქალაქში, ასევე სათხილამურო კურორტებზე ორთვიანი მკაცრი საკარანტინო ზომები კვლავ ამოქმედდა. ასევე, ორი თვის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, დღის გარკვეულ მონაკვეთებში კვლავ დაწესდა გადაადგილების შეზღუდვა და შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობა ზოგიერთ სექტორში.

პერიოდულად წესდება წერიტილოვანი შეზღუდვები, რომელთა ნაწილი მიმდინარე მდგომარეობითაც კვლავ ძალაში რჩება.

ჯგუფი მიმდინარედ აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის კლიენტების უწყვეტ მომსახურებას, სოციალური დისტანციის დაცვითა და სხვა შეზღუდვების გათვალისწინებით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ვირუსის გავრცელებას რაიმე არსებითი ნეგატიური ეფექტი ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის ჯგუფზე არ მოუხდენია, თუმცა კოვიდ პანდემიამ გამოწვევები შეუქმნა შპს „დელტა კომსაგ“. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფი ახდენს საკომუნიკაციო ქსელის ოპერირებას, პანდემიიდან გამომდინარე შესაძლო გართულებების შემთხვევაში, დადგეს ისეთი ვითარება, რომ ჯგუფი მოკლებული იყოს შესაძლებლობას ქსელზე დაზიანების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას ავარიით გამოწვეული შეფერხებები. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის შპს „დელტა კომსაგ“ შემუშავებული აქვს და მკაცრად მისდევს დაავადების პრევენციის პროცედურებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნებთან და რეკომენდაციებთან.

6. ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი ფინანსური და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

ისევე როგორც ყველა ინდუსტრია, შპს „დელტა კომს“ შეიძლება დაუდგეს რისკი იმისა, რომ პანდემიით გამოწვეული გართულებებიდან გამომდინარე, შეფერხდეს დარგისთვის საჭირო კრიტიკული მასალებისა და დანადგარების დროული მოწოდება.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 14 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ზ. ზარიძე

ფინანსური დირექტორი

გ. გაგნიძე


6. ჯგუფში შემავალი კომპანიების ძირითადი ფინანსური და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

ისევე როგორც ყველა ინდუსტრია, შპს „დელტა კომმს“ შეიძლება დაუდგეს რისკი იმისა, რომ პანდემიით გამოწვეული გართულებებიდან გამომდინარე, შეფერხდეს დარგისთვის საჭირო კრიტიკული მასალებისა და დანადგარების დროული მოწოდება.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 14 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი




ზ. ზარიძე
გ. გაგნიძე